30-ს ივლისს, № 21 1886 წელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

1883-1886

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, ყოველი თვის ათს, ოცს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გორის სასულიერო სასწავლებლიდგან.

გამოცდა ემაწვილებისა, რომელთაც ჰსურთ შესვლა გორის სასულიერო სასწავლებელში, იქნება 27 აგვისტოს, ხოლო მეორედ გამოცდა ხსენებული სასწავლებლის მოსწავლეებისა 28 და 31 იმავე თვისას; თხოვნა სასწავლებელში მიღებაზედ და ყვავილის ნახადობისა ანუ აცრისა სასწავლებელში შემოსვლის მსურველთა უნდა წარმოადგინონ აგვისტოს 25-მდე.

კლასიკური ენების გაძლიერების შესახებ სასულიერო სასწავლებლებში.

დიდი ხანია, რაც ერთი გაუთავებელი ქიშპობა და დავა არის სწავლულთა შორის შესახებ კლასიკური ენების სარგებლობასა და უსარგებლობაზე. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ბერძნული და ლათინური ენების შესწავლა ძლიერ ეხმარება მოწაფეთა გონების გახსნაშიო და ამით უთვალავ სარგებლობას გამოელიან ამ ენების შესწავლისაგან. არის მეორე წრე, რომელიც სულ წინააღმდეგია ამ აზრისა. ესენი ამტკიცებენ, რომ კლასიკური ენების შესწავლას იმდენად შეუძლია გახსნას მოსწავლის გონება, რამდენადაც სხვა ყოველს საგანს, რომელიც კაცს აუღია შესასწავლებლადო. ამ ერთი ორი წლის წინათ ამ აზრს ამტკიცებდა ბ. პოპოვიცკი თავის გამოცემაში «Церковно общ. вѣстникъ»-ში. ერთი მეორეზე მიყოლებული მეთაური წერილებით ცხადათ და აშკარად უმტკიცებდა მკითხველ საზოგადოებას, თუ მართლა რა განსაკუთრებითი გავლენა აქვს მოწაფეების გონების გახსნაზე კლასიკური ენების შესწავლას. ცხადათ და აშკარად დაამტკიცა მან, რომ არასფერი განსაკუთრებითი გავლენა მოწაფეების გონების გახსნაზე ძველი ენების შესწავლას არა აქვს; დაამტკიცა აგრეთვე, რომ მოწაფეების გონების გახსნას იმდენად ეხმარება ლათინური და ბერძნული ენების შესწავლა, რამდენადაც გონების გახსნას დაეხმარება ყოველი სხვა საგნების შესწავლა. ამასთან ბ. პოპოვიცკი ამტკიცებდა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია კლასიკური ენის შესწავლაში წავბაძოთ უცხოეთლებსო და სხვა და სხვ. ეს კითხვა დიდი ხანია აღძრულია, მაგრამ დღეშდის არა უთქვამსთ-რა იმ პირთ, რომელთა სიტყვებს დიდი გავლენა და მნიშვნელობა აქვს და ექმნება.

პატივცემულის „Московскія вѣдомости"-ების რედაქტორმა ბ. კატკოვმა წარსულ წელში გამოსთქვა თავისი მწუხარება იმის შესახებ, რომ სასულიერო სასწავლებლებში კლასიკური ენების შესწავლა მცირდება და ამითი ღვთის მეტყველების შესწავლა და განათლება სუსტდებაო. ბ. კატკოვი თიოქმის იმ აზრისა არის, რომ ძველი ენების სწავლება შემოიღონ იმ წესით, რა წესითაც ასწავლიდნენ ამ ენებს ამ საუკუნის დასაწყისში და სხვ.

ამ კითხვის პასუხად ივნისის და ივლისის თვეების ჟურნალ „Странникъ"-ში ჩვენ ვკითხულობთ მთავარ-ეპისკოპოსის ნიკანორის მშვენიერ წერილს ამ სათაურით: «კლასიკური განათლება სასულიერო სასწავლებლებში».

აი რასა სწერს ყოველად სამღვდელო ამ კითხვის შესახებ:

«ჩვენ მაგიერ, ბრძანებს მთავარ-ეპისკოპოსი,

ნიკანორი, ამ საგანზედ სჯიდენ და ბაასობდენ სხვანი; ეხლა ვსთქვათ ჩვენც. მე ვარ ერთი იმ მრავალთაგანი, რომელიც ვსწავლობდი 1840 წლამდე როდესაც სასულიერო სასწავლებელთა მოწაფეებს გვასწავლიდენ კლასიკურ ენებს ძველი წესით». სხვა-და-სხვა მშვენიერ მოსაზრებათა შემდეგ მთავარ-ეპისკოპოსი ნიკანორი ბრძანებს:

„ძალიან ბევრი თქმულა საზოგადოდ და განსაკუთრებით ბევრი დაწერილა «Московскія вѣдомости»-ებში ძველი ენების შესახებ. ამ გაზეთს ბევრჯელ გამოუთქვამს ის აზრი, რომ ძველი ენების სწავლებას ვითომ დიდი გავლენა ჰქონდეს მოსწავლეთა გონების გახსნაზე. მაგრამ ჩემი გამოცდილებით და დაკვირვებით მე სრულებით ამის წინააღმდეგი ვარ. მე დარწმუნებული ვარ, რომ უაზროთ და გაუგებლათ რომელიმე ენის შესწავლა მთლად ახშობს მოსწავლეთა გონებას. რასაკვირველია, მე აქ არ ვეხები იმას, თუ შემდეგში რა გამოსადეგი იქნება ძველი ენების შესწავლა სწავლულთათვის შემდეგ მათ სამეცნიერო გამოკვლევაში. მაგრამ დღეს კი გვარწმუნებენ, რომ ვითომ ძველი ენების შესწავლა ამტკიცებდეს და ამდიდრებდეს გონებას. მაგრამ მართალი უნდა გითხრათ, რომ მე ეს არ მიგრძნია, თუმცა ოთხკლასიან სასწავლებელში, სემინარიაში და აკადემიაშიაც თითქმის პირველ მაგირდათ ვითვლებოდი. ამ ენების უაზროთ შესწავლა ითხოვს მეხსიერების მხრით დიდს ჯაფას და მასთან ღალავს და ახშობს კიდეც გონებას. ხსნის და ამდიდრებს გონებას ყველა საგნების სწავლება და არა ერთი მხოლოდ კლასიკური ენების შესწავლა. ხსნის გონებას შეგნებული კითხვა საღმთო წერილისა, წმიდა მამათა და ეკკლესიის მოძღვართა ნაწერებისა, ლიტერატურა და სამეცნიერო თხზულებანი, რომელ ენაზედაც უნდა სწარმოებდეს ეს კითხვა... ისეთი შესანიშნავი პირნი, როგორებიც იყვნენ: მიტროპოლიტი ფილარეტი, მთავარ-ეპისკოპოსნი თეოფანე პროკოპოვიჩი, გიორგი კონისკი, ათანასე ასტრახანელი, დეკანოზი პავსკი დაბადა სკოლამ კი არა, არამედ თვით ამ პირთა შეგნებულმა მეცადინობამ თავიანთ განვითარებაზე. ასეთ შეგნებულს მეცადინობას თავის გონებით განვითარებაზე ჩვენ დროშიაც შეუძლია დაჰბადოს მტკიცე მცოდნენი ენებისა».

ყოვლად სამღვდელო ნიკანორი ეკუთვნის იმ დგმას, რომელმაც გაიარა ძველი ენები სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლებში, ხოლო სემინარიაში სწავლობდა ამ ენებს პროტასოვსკის დროის პროგრამით. ამიტომ ჩვენთვის საჭიროა მისი აზრი ბუნებითი, სამეცნიერო საგნების სწავლების სარგებლობაზე სასულიერო სასწავლებლებში.

„ვმადლობ ღმერთს, განაგრძობს ყოვლად სამღვდელო, რომ მან მომცა შეძლება, რათა მომესმინა ვრცელი კურსი სასოფლო მეურნეობისა და საექიმო კურსი. თუმც ეს უკანასკნელი მაგრე ვრცლად არ გამივლია, მაგრამ ძალიან სარგებლობა მომიტანა; თუმც ამ საგნების სწავლებას ეხლა აუგდენ, მაგრამ ძალიან საჭიროა კი. სასოფლო მეურნეობას გვასწავლიდა ჩვენ პეტერბურგის სემინარიაში შესანიშნავი სწავლული, ბერლინელი ნემეცი შმალცი. მართალია, ბევრი რამ დამავიწყდა ამ კურსიდგან, და ცხოვრებაშიაც არ გამომდგომია, მაგრამ მე ყოველთვის მადლობელი ვარ ამ კურსისა იმისათვის, რომ გავიგე საზოგადო კანონები მცენარეების და ცხოველების ცხოვრებაზე და აგრეთვე გავიგე, თუ როგორ წარმოსდგება მიწის ნიადაგი და სხ. მრავალი. ექიმობას გვასწავლიდა ჩვენ ი. ვ. ბობრიკოვი იმ სასაცილო სახელმძღვანელოთი, რომელიც შედგენილი იყო ხოტოვიცკისაგან. თუმც ეს მასწავლებელი ამ სახელმძღვანელოთიც ვერ სარგებლობდა კარგად და ვერც ხეირიანად გვიკითხავდა, მაგრამ მისი იმისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ, რომ გადმოგვცა ცოტაოდენი სწავლა ანატომიაზე, ფიზიოლოგიაზე და თერაპიაზე. რა სასარგებლო იყო, რომ ამ ზემოდ მოხსენებული საგნების შესწავლით გავვ'ეთ გონება? მე ვამბობ, რომ დიდი სასარგებლო იყო ეს ყველასთვის. ერთის მხრით იმითი, რომ ბუნების მოვლენათა არ უყურებთ ისე, როგორც ველური კაცი და მეორეს მხრით ამ საგნების უცოდინარობისა გამო ეხლანდელს ღვთის მეტყველს ერთი ფეხის გადაბიჯებაც არ შეუძლია სარწმუნოების დაცვის დროს. ყოველ შემთხვევაში მას დასჭირდება ამ საგნების ცოდნა. თუ ეს საგნები ცოტათი მაინც შესწავლილი არა აქვს კაცს, ის ახლანდელი დროის მეცნიერების შესახებ მთლად ყრუა. ამისთანა პირთა ღვთის მეტყველების საგნებიც რომ ვრცლად ექნესთ შესწავლილი, მაინც გაუგებელი რჩებათ ისეთი რამეები ბუნების მოვლენათაგან, რომლებიც მათთვის, მათი მოღვაწეობის დროს გამოსადეგი იქმნებიან. მე ყოველთვის ვსწუხდი არა იმაზე, რომ სემინარიაში და აკადემიაში თავი მიანებეს ლათინური და ბერძნული ენების შესახებ ლექციების კითხვას, არამედ იმაზე, რომ ჩვენ არას-

ფერი არ გაგვეგებოდა გეოლოგიის, ახლანდელი ანტროპოლოგიის და პსიხო-ფიზიკისა; ვსწუხდით, რომ ამ საგნების სწავლება მთლად მოსპეს ამ სასწავლებლებში".

ჩვენი აზრით, ეს მშვენიერი წერილი, ვგონებთ, არავისთვის განმარტებას არ საჭიროებს.

ყვირილიდამ მარტვილამდის.

ყვირილიდამ გავემგზავრეთ ქუთაისისკენ 26 ივნისს რკინის გზით. რამდენ საინტერესოს, სასიამოვნოს და სამწუხაროს გაიგონებ კაცი რკინის გზაზედ მოგზაურობის დროს ვაგონებში! აქ შეხვდებით თქვენ ყოველი წოდების კაცს. კითხვა არ დაგჭირდება, თუ რომელი მოგზაური რომელ წოდებას ეკუთნის,—დააკვირდით და მოისმინეთ მათი ლაპარაკი და კაცის უთხრობლადაც შეიტყობთ, თუ ვინ რა ხელობის და წოდების კაცია.

ვაგონში აგერ მიმჯდარა ორი კაცი და ერთი ერთმანეთს გაცხარებულად ელაპარაკებიან.

—„ბატონო, გაგიგონია ეს? კაცი გიბარებს რვა საათზე და თვითონ კი შემოდის სასამართლოში თორმეტს და პირველ საათზე. პატარა ხანი დაჯდება კამერაში, მერე გამოდის თავის საკუთარ ოთახში. ხალხს ჰგონია, თუ რამე მძიმე საქმეებს იხილავს. თურმე, ნუ იტყვი, კარგი «ზაკუსკა» მოუტანია და შეექცევა. ზადაჰკრავს კარგა ლაზათიანად და გამობრძანდება! რასაც მოასწრებს, საქმეს გაარჩევს და რასაც არა, მიატოვებს, და შენ მოდექი და იარე ერთსა და იმავე საქმეზედ ოთხჯერ და ხუთჯერ".

—„თქვენი „სუდია," კაცო, გვიან მაინც შემოდის სასამართლოში; ჩვენი კი შემოდის რვა საათის გამთავეს და ვინც არ დაესწრება, სულ ყველას საქმეებს სპობს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მთხოვნელი გარეთ იყოს და საქმე მოესპოს. სწორედ გაჭირდა საქმე!.."

ამათ ლაპარაკს წამოესარჩლება მესამე პირი და დაუმატებს:

—«ზოგიერთი მოსამართლეები, უნდა გითხრათ «უჩასტკის ნაჩანიკებს» გვანატრია. აგერ წინაზე ერთი მოხელე მოვიწვიეთ ადგილობრივ სადაო ადგილის დასახედავათ. სანამ საქმეს შეუდგებოდა, კარგად გიახლათ, ასე რომ სამზღვრებს რომ შემოუარა, ორი კაცი ჰყავდა შეჯდომილი აქეთ-იქით მხრებში და ისე შემოარონინეს სადაო ადგილის სამზღვრები. რა უნდა დაინახოს ამისთანა პირმა და ან როგორ შენიშნოს სამზღვრები?!..»

ვაგონის მეორე კუთხეში ჰკიცხვენ სასულიერო წოდებას და ექიმებს. ერთი სიტყვით მოგზაური, თუ ყველა ენა იცის, ხალხის ცხოვრებაზე თითქმის ვრცელ აზრს შეადგენს.

ქუთაისიდამ გავემგზავრეთ ფაიტონებით ხონისაკენ. ქუთაისიდამ ხონამდის გზა კარგია, მხოლოდ ბოგირები არ არის აქა-იქ გაკეთებული. ხონში დავრჩით ერთ ჩვენ კარგ მეგობართან. დილით ადრე ფაიტონით გავემგზავრეთ მარტვილისკენ. ხონიდამ შვიდ საათზედ გაველით და მარტვილში ათ საათზედ მივედით. ჯერეთ წირვა არ იყო დაწყებული. მივიხედ-მოვიხედეთ მარტვილის სობოროს ეზოში. ძრიად სამწუხარო სურათს წარმოგიდგენსთ როგორც მარტვილის სობოროს მდგომარეობა, აგრეთვე ამ ეზოის შენობანი. ერთი შენობა სრულებით ჩამტვრეულია, მეორე გვერდზე გადახრილა, სხვა დამპალი და სახურავ წამხდარია. ერთი სიტყვით მარტვილის სობორო და მისი შენობანი იმისთანა მდგომარეობაში, როგორშიდაც დღეს არიან, არც ერთი დროის თათრების შემოსევის დროს არ იქმნებოდნენ.

წირვა დაიწყო თერთმეტის ნახევარზედ. მწირველი იყო ყოვლად სამღვდელო გრიგორი, არქიმანდრიტნი კირილე, ბესარიონ და სხვა სამღვდელონი. მგალობლები ორ პირად იყვნენ დამდგარნი. მარჯვნივ ბ. გალობდნენ ფ. ქორიძის ლოტბარობით ახლად გადაღებულ ნოტებზედ არქიდიაკონი იოსებ შარაბიძე, ივლიანე წერეთელი და მ. ბალანჩივაძე. მარცხნივ კლიროსზედ გალობდნენ აზნაურნი გამოჩენილნი მგალობლები დიმიტრი ჭალაგანიძე, ნიკო მეძმარიაშვილი და ერთიც მესამე, რომლის გვარი და სახელი არ ვიცით. წირვაზედ საზოგადოება დაესწრო აუარებელი. ნოტებზედ გადაღებული გალობა საზოგადოებას ძლიერ მოეწონა და მრავალნი სიხარულით აღივსენ, რომ ქართული გალობა ამის შემდეგ აღარ დაიკარგებაო.

წირვის აღსრულების დროს მიხვრა-მოხვრა და სხვა ქცევა ყოვლად სამღვდელო გრიგორისა სწორედ მოსაწონია; მაგრამ სამწუხაროა, რომ შესაფერისი კრებული არ ჰყავდა. წირვის გათავების შემდეგ ყ. დ. სამღვდელომ წარმოსთქვა მშვენიერი გრძელი სიტყვა, რომლის ტექსტათ ჰქონდა აღებული სიტყვანი: „ყოველსა ქვეყანას გან-

ხდა ხმა მათი"; ამ სიტყვაშიდ გაატარა მრავალი მშვენიერი აზრი და ბოლოს მოაგონა მსმენელთა ჩვენ ძველ წინაპართა ქველ მოქმედება და უხვობა ეკლესიების შემკობისათვის და წინა დაუდვა საზოგადოებას იზრუნონ მათაც განშვენებისა და შემკობისათვის მათთვის სასიქადულო მარტვილის სობოროისა.

ნაწირვებს, ნაშუადღეს ორ საათზე ყოველად სამღვდელო გრიგორიმ მიიპატიჟა სადილზე კრებული. ნი, მაზრის უმფროსი, მარშალი ბ. ფალავა და სხვა წარჩინებულნი პირნი ორმოცამდინ. სადილი მშვენიერი იყო. სენაკის მაზრის მარშალმა ბ. ბ. ფალავამ, რომელიც სადღეგრძელოებს წარმოსთქვამდა ხოლმე, აიღო ღვინით სავსე სტაქანი და წარმოსთქვა სადღეგრძელო მის მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის, არქიეპისკოპოსის პავლესი, რომელიც დიდის სიხარულით იყო მიღებული ყველა დამსწრე პირთაგან. შემდეგი სადღეგრძელო იყო ყოველად სამღვდელო გრიგორისა. დალიეს აგრეთვე სადღეგრძელო ყოველად სამღვდელოთა იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელისა და ბესარიონ ეპისკოპოსისა. სადილი გათავდა ხუთი საათის ნახევარზე და სტუმრები გამოეთხოვენ თავის გულითად საყვარელ მასპინძელს.

ამ მოგზაურობის დროს ხალხის ცხოვრებაზე დაკვირვებამ ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. გარეგანი შეხედულება ხალხის ტანსაცმელისა სულ წინაალმდეგს გიმტკიცებს, როდესაც მათთან მიდიხართ და სახლ-კარობას ხედავთ. სიღარიბეს ძლიერ გაუდგამს ფესვები ხალხში. ხალხი ნამეტნავად ცდილობს ეს სიღარიბე არ დაანახოს სხვას და ის არის უბედურება, რომ ამისთანა ცდა უმეტესად სიღარიბეში აგდებს მას.

ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით, თუ მარტვილის სობოროს ამისთანა შეუფერებელ მდგომარეობაში იქმნებოდა. თვით ეკლესიაში სასაფლაოს ქვებზედ თქვენ მრავალს ადგილას ჰკითხულობთ: «ამა საფლავსა ქვეშე განისვენებს მთელი მინგრელიის მფლობელი თავადი, ანუ კნეინა ესა და ესა». მართლა; აქ მარხია დიდებული დავით ლევანის-ძე დადიანი და სხვანი. ნუ თუ ამ პირთა არ შეეძლოთ შემკობა ამ სობოროისა რიგიანად და დატოება იმდენი ქონებისა ამ ეკლესიის სასარგებლოდ, რომ ამ ფულით შეძლებულიყო შეკეთება ეკლესიის და სხვა შენობათა.

მართალია, ზოგიერთები დღეს იძახიან, რომ მათი შეწირული მამულებისაგან ოცი ათასი მანეთი ეძლევა საეკლესიო ხაზინას საერო უწყებიდგანო, მაგრამ გარწმუნებთ, რომ რომელნიც ამას იძახიან, მათგან არც ერთი გროში არ არის შეწირული ეკლესიის სასარგებლოთ და სხვისი შეწირულებით უნდათ თავი გამოიჩინონ.

წირვის გათავების შემდეგ ჩვენ მივედით სტაროსტასთან შესატყობლად, თუ რამდენი შემოვიდა სამთლის ფული ამ დღეს. სტაროსტამ განგვიცხადა, რომ ამდენი სამთლის ფული არ შემოსულა სხვა დღესასწაულ დღეებში არასოდესო. მეც ვიფიქრე, რომ ამდენი აუარებელი ხალხისაგან ბევრი ფული შემოვიდოდა მეთქი. თურმე, ნუ იტყვით, სტაროსტის გასაკვირვებელი სამთლის შამოსული ფულის ჯამი იყო ხუთი მანეთი და ორი აბაზი!... ბოლოს გავიგეთ რომ მთელ წელიწადში სამთლის ფული შემოდის სობოროს ორმოც მანეთამდი და სხვა შეწირულებაც არა ამაზე მეტი!..

სამარხი ადგილების გამო.

ჩვენს ქვეყანაში ერთ სოფელსაც ვერ იპოვი, რომელსაც სასაფლაო ეკლესიაზე მოშორებული ჰქონდეს, სოფლებში კი არა, ქალაქ ადგილებზედაც. მეორე სიკვდილად ის მიაჩნია ჭირისუფალს, თუ მისი მიცვალებული ეკლესიის გალავანში არ დაიმარხა. მხოლოდ ამ ბოლოს დროს ქალაქის მმართველობა და ადმინისტრაცია, სანიტარული კომმისია და ექიმთა კრება ძალას ატანებენ ქალაქის მცხოვრებლებს, რომ მათ ქალაქს გარეთ გაიკეთონ სასაფლაონი; მაგრამ ხშირად, ძლიერ ხშირად მათი მაცადინობა ამაოდ რჩება: ჭირისუფალი ყოველს ღონის ძიებასა ხმარობს, რომ მისი მიცვალებული ეკლესიის გალავანში მიაბაროს მიწას, სადაც ადრინდელი მიცვალებული ნათესავები განისვენებენ: არ შურავს ეკლესიისადმი შესაწირს, ქრთამს, თუ გასავალი ექმნა, ვედრებას, ვისდამიცა ჯერ არს, ხან-და-ხან ძალადობასაც კი იხმარებს ხოლმე, თუ გაბედა, ოღონდ მიცვალებული ეკლესიის ღობეს შიგნით დამარხოს. ამ ყოველად საენებელი ჩვეულების მიზეზი, რაღა დიდი მსჯელობა უნდა, ცრუ მორწმუნეობაა და სხვა არაფერი. ბევრსა ჰგონია, რომ თუ ერთნი ოჯახის მიცვალებული ძველიდამ ახლამდე ერთს ნაკვეთს განუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფელს მიწას ქვეშ არ მოეტანა, საიქიოსაც ერთ-მანეთზე მოშორებული იქმნებიანო, ამბობს უმეცარი, მდაბიო ხალხი; განათლებულნიც ხან-და-ხან თუმცალა ცრუ მორწმუნეობისაგან თითქო თავისუფალნი არიან, მაგრამ ძველს სასაფლაოებს მაინც ეტანებიან იმ მოსაზრებით, რომ თითქო თვალს ესიამოვნება ერთბაშათ დაინახოს ყველა ნათესავების ძეგლები და სახსოვრები. ეგ უკანასკნელი ადვილი მოსაშალია, მაგრამ პირველი ისე გაჯდომია მდაბიო ხალხს ცხოვრებაში, რომ მისი ამოფხვრა მეტად ძნელდება, მათზე არც ქადაგება მოქმედობს, არც ადმინისტრაციის ძალა და არც ექიმის დარიგება. მაგალითის საძებრად შორს ნუ წავალთ, ავიღოთ დაბა ძველი სენაკის საზოგადოება. აქ ერთი დიდი ეკლესია სდგას სათავად-აზნაურო და სასაფლაო სკოლათ შორის ორ-ორ სამ-სამ ნაბიჯზე მოშორებით, ეგ ეკლესია წინედ სადადიანო ყოფილა, თვით დადიანის გამდელ ქალს აუშენებია თვისი ხარჯით; მას აკრავს მშვენიერი გალავანი, რომელიც ცოტათი აზურგულია და მისს კალთებს გარემო წყაროები მოჩუხჩუხებენ, აქვე სოფლის სასამართლო და დუქანთა რახმი, აქვე გამოდის ზედა სამეგრელოს შარა, რომელზედაც დღეში ორას-სამასი მგზავრი გაივლის ხოლმე და ძვირად მოხდება, რომ მგზავრი აქ არ ჩამოხტეს, მშვენიერ გაბორბალებულსა და გაშლილ ცაცხვთა და ჭადართა ქვეშე ჩრდილში არ განისვენოს და შუბლი წყაროს ცივი წყლით არ განიგრილოს. აი ასეთს გალავანში უნდა აქაურს სამრევლოს თვისი სახადით და უსახადოთ მიცვალებულის დასაფლავება. უსახადოდ მიცვალებულზე კიდევ არას იტყოდა კაცი, მაგრამ ამ წელს არც ადმინისტრაციის ძალამ გასჭრა, არც მღვდლის რჩევამ, არც სასწავლებელთა მმართველების შეგონებამ; ყვავილით, წითელათი და კისერათი მიცვალებულებს ზედი ზედ მარხავდენ სასაფლაოზე. მამასახლისს აღკრძალვის ბრძანება ჰქონდა მიცემული, მაგრამ იგი ვერას გახდა. მოასვენეს ყვავილით მიცვალებული, მამასახლისი უშლის შორიდამ, ჭირისუფალი გალავნიდამ გამოსძახის: აქ ვერ მობედავ ყვავილის შიშით და მანდ რამდენიც გნებავს, იმოდენი იქაქანეო. ამბობენ და რავდენად მართალია, არ ვიცით, რომ თურმე ერთი გლეხისას ექიმი მივიდა შესამოწმებლად, ყვავილით ავადმყოფი არის თუ არა ოჯახშიო. ჭირისუფალს ყვავილით მიცვალებული დაემალა და ნაცვლად კარგად მყოფი დაეწვინა ლოგინში; უნდოდა ყვავილის კვალიც კი დაემალა, მერმე ექიმიც ველარ დავაჯერეთო, თუ იმ ოჯახში ყვავილი იყო. ეგ მიცვალებულის პატრონმა მიტომ ჩადინა, ვაი თუ მკვდარი ეკლესიის გალავანს გარეთ დამამარხვინონო. ასეთმა გარემოებამ სასწავლებლის უფროსები აიძულა, რომ მოსწავლეები ამ საშინელი სენის გადაკვეთამდის დაეთხოვნათ; რომ ასეთი განკარგულება არ ბოეხდინა სასწავლებელთ მმართველობას, ცხადია მრავალი მოსწავლე ავად გახდებოდა და სოფლად გაატანდენ ხსენებულს სენს და ამას რა შედეგი ექმნებოდა, ყველას კარგად მოეხსენება. ამ მაგალითიდამ ცხადად დაინახავს მკითხველი, მღვდელიც და ერიც, რომ იმ ადგილს, სადაც მოსახლენი ეკლესიის გარემო, ახლო სახლობენ, ან თუ ეკლესიის ახლო იმყოფება სასწავლებლები, დუქნები ან საზოგადოების სახმარი წყაროდ ჭები, აი ამ გვარი ეკლესიის გალავანში სასურველია, რომ მიცვალებულთა დასაფლავება აღიკრძალოს სამუდამოდ. ჩვენის მხრით ვურჩევთ ჩვენს სამღვდელოებას, რომ მათ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ამ საგანს და იმეცადინონ ქადაგებით, შეგონებით და მმართებლობის დახმარებით მოსპონ ეგ მავნებელი ჩვეულება. მე მგონია, რომ თვით ხალხიც ადვილად შეიგონებს, თუ რიგიანად განუმარტებენ მათ ამ ჩვეულების ცუდს შედეგს. სხვა რომ არა იყოს რა, სხვა განათლებულ ხალხთა მაგალითით მაინც უნდა იხელმძღვანელონ ამ შემთხვევაში. სხვაგან, სადაც ჩვენ ჭკუით, გამოცდილებით და განათლებით გვჯობიან, ყველგან სასაფლაო მოცილებულია მოსახლეთა შორის მყოფ ეკლესიაზე, სასაფლაო ქალაქსა და სოფელ გარეთ არის. იგი ისეა შემკობილი, როგორც ბაღი, მშვენიერად შამოლობილი, ყოველს სასაფლაოზე ჯვარი, ანუ ძეგლი და სახსოვრები, სასაფლაოზე მშვენიერი ყვავილები და ბუჩქები დარგული; თვით მე, ქვემორე ხელისა ამის მომწერელს, როცა მინახავს ასე მშვენიერად მოწყობილი და მორთული სასაფლაო, მინატრია, ნეტავი აქ დამმარხა-თქო. მცხოვრები წელიწადში ერთჯერ საზოგადოდ მიცვალებულ ძველთა სულის საოხოდ აწირვინებენ მღვდელს, მოიწვევენ თვით სასაფლაოზე, თითონაც გამოვლენ ერთობით, სადილსა სჭამენ, ერთმანერთს დალოცავენ, მიცვალებულთა შესანდობელს დალევენ, ღვინოს შეევედრებიან და თითქო სულ დამტკბარნი და გულ დამშვიდებულნი თავიანთ სახლში დაბრუნდებიან, მე მგონი ამაზე უკეთესი წესი არც შეიძლებოდეს. ჩვენ რატომ უნდა გვეძნელებოდეს ეს ასეთი რიგიანი და

ღვთისა და კაცისათვის სასიამოვნო წესის შემოღება, რატომ გვეძნელება გონიერი და განათლებული საზოგადოებისა და ერის მიბაძვა? ამ კითხვის პასუხად უნდა ვსთქვათ აი რა: იმიტომ გვეზარება, რომ ჩვენ ჯერ გამოუცდელნი ვართ, ჩვენი ცოტა ვიცით და სხვისი კარგი მაგალითის ყურის გდება და შეგნება არ ვიცით. რატომ აქვთ ასეთი კარგი ჩვეულება განათლებულ საზოგადოებასა და ხალხს? იმიტომ, რომ მიცვალებულის სხეული, როცა მიწას მიებარება, იხრწნება, ლპება, მას ათას ნაირი ჭია და მძრომი სჭამს და საჭმლის გამოლევის თანავე, ისინიც ლპებიან და იხრწნებიან, დახრწნილი ნაწილები ზოგი წყალს ერთვის და, თუ იქ სადმე ახლო მახლო წყაროებია, შიგ ჩადის და, მაშასადამე ჩვენი მიცვალებულის ხორცს თითო ჩვენვე ვსჭამთ და ვსომთ ჩვენდა შეუნიშნელად, ზოგი ზევით მიდის და ჰაერში ვრცელდება და ჩვენ ასეთს მოწამლულს ჰაერსა ვსუნთქავთ, ამის გამო ვინ მოსთვლის, რამდენ ნაირი სენი და ავად-მყოფობა ჩნდება, ეგ ჭეშმარიტებაა და თუ არ დაგვიჯერებთ, ღმერთმა თქვენს მტერს გააგონოს ასეთი ჯიუტობა.

ს. ყიფიანი.

თ ბ ი ლ ი ს ი დ გ ა ნ.

ამას წინეთ გაზეთ „მწყემს"-ში მოვიხსენიე, რომ ჩვენი საქართველოის ყველა სოფლებში და დიდ ქალაქებშიაც მეტად გამრავლდნენ მკითხავები და შეუბრალებლად ჰყვლეფენ უსწავლელ ხალხსა თქო. ვამბობდი აგრეთვე, რომ ამ მკითხავების წინაალმდეგ დღეს ჩვენი სამღვდელოება არავითარ ზომებს არ ხმარობს. დღეს მე მინდა უჩვენო მკითხველს თუ უწინდელი ჩვენი სამღვდელოება რა ზომებს ხმარობდა ამ სენის წინაალმდეგ. მეთვრამეტე საუკუნეში ჩვენს სამღვდელოებას სასტიკი ყურადღება ჰქონებია მიქცეული მკითხავებზე და დიდი ზომები უხმარია მათ წინაალმდეგ. ამის დასამტკიცებლად მკითხველებს მოუთხრობ შემდეგს: მეთვრამეტე საუკუნეში მეფის ირაკლის მეფობის დროს საქართველოს ქათალიკოსის ანტონ პირველისთვის მოუხსენებიათ თბილელ მიტროპოლიტს და სხვა მღვდელთ-მთავრებს, რომ მთელს საქართველოში ცრუ-მორწმუნეობა მეტად ვრცელდებაო, მკითხავები ყოველს სოფელში ჩდებიან და ატყუილებენ ხალხსაო. ამასთანავე დაუმატებიათ ამ მღვდელთ-მთავრებს, რომ კახეთის და ქიზიყის ყველა სოფლები სავსენი არიან მკითხავებითო. როცა კათალიკოზს მოუსმენია ეს, მისცემია ჭოჭმანებასა და მესამე დღეს დაუნიშნავს სამღვდელოთა კრება, რომელზედაც მიუწვევია მთელი თბილისის სამღვდელოება.

ერთ დღეს, სადამოზედ სამღვდელოება შეკრებილა ანჩხატის მახლობლად, საქათალიკოზო დარბაზში და თვით ქათალიკოზის თავს-მჯდომარეობით სამღვდელოება შესდგომია სჯას, თუ რა ზომები იხმარონ საქართველოში გამრავლებულ მკითხავების წინაალმდეგ. დიდი მსჯელობის შემდეგ სამღვდელოებას დაუდგენია, რომ ამ სენის აღმოფხვრა და მოსპობა პირ-და-პირ ჩვენი ვალიაო. ეს აზრი სიხარულით მიუღია მთელ სამღვდელოებას და ამ განაჩენის აღსრულების შესახებ ქაღალდიც შეუდგენიათ. ამ ქაღალდში ქათალიკოზი სთხოვს საქართველოს ყველა ეპისკოპოსებს, რომ მათ სასტიკი ყურადღება მიაქციონ მკითხავებს და ეცადნენ ცრუ-მორწმუნოებათა მოსპობას ხალხში. ქათალიკოზისაგან მიწერილ ქაღალდს ეპისკოპოსებისადმი ბრძანებითი კილო ჰქონებია და ბოლოზე ქათალიკოზის ბეჭედი სმია. ამის შემდეგ კრება დაშლილა და სამღვდელოება დაბრუნებულა თავიანთ სახლებში. ეს კრება ყოფილა 1788 წელში. კრების გათავების შემდეგ საქართველოს ქათალიკოსის სამმართველოსაგან საჩქაროდ გაუგზავნიათ ყველა ეპისკოპოსებისათვის მიწერილობანი ამ კრების განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ. ეპისკოპოსებისათვის მიუწერიათ, რომ ისინი მათდამი რწმუნებული სამღვდელოებით წინა აღუდგენ მკითხავებს, აეწერათ მკითხავების გვარები და სახელები და მერე ყოველივე ცნობები ქათალიკოსისთვის უნდა წარმოედგინათ. ქათალიკოზის ამგვარი ერთი მიწერილობა დაბეჭდილია ბ. დ. ფურცელაძისაგან გამოცემულს რუსულს გუჯრებში (გამოცემა 1882 წ.) ეს მიწერილობა მიმართულია ნეკრესის ეპისკოპოსისადმი და სასტიკი განკარგულებით არის შედგენილი. ამ მიწერილობით მღვდელ-მთავარს ავალებენ, რომ მან უექველად შეატყოს მკითხავების ვინაობა, ადგილი, სადაც ისინი ბინადრობენ და მათი სარწმუნოება. დასჯა ამ მკითხავებისა შემდეგ უნდა მომხდარიყო საქათალიკოსო გამგეობათა თანხმობით. (ქათალიკოსის მიწერილობაში დიდი მეტადა არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენებული მკითხავების წინააღმდეგ და დიდი შეჩვენება ეცხადებათ მათ ქათალიკოზისაგან. ამისთანა მიწერილობა, რასაკვირველია, დიდ შთაბეჭდილებას და გავლენას მოახდენდა მაშინდელ მორწმუნე ხალხზე.

ნეკრესის ეპისკოპოსს მისვლია ოუ არა ეს მიწერილობა, ის მაშინვე შესდგომია საქმეს, მალე შეუკრებია ცნობები მკითხავებზე და გამოუგზავნია ქათალიკოზისათვის. მღვდელ-მთავარი სწერს საქათალიკოსო გამგეობას შემდეგს: მოწერილობის მიღებისათანავე შეუდექი საქმეს და ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ჩემს სამწყსოში მკითხავები არ არიან და, თუ შემდეგში აღმოჩნდენ, მე თვითონ მივაქცევ მათ ყურადღებას და მევე დასვსჯი მათ. სხვა მღვდელთ-მთავრების მიწერილობანი ქათალიკოსისადმი არა სჩანან ჩვენს ძველს მწერლობაში.

ყველა ამ ნათქვამისაგან სჩანს, თუ რა გულს მოდგინებით სდევნიდა ჩვენი სამღვდელოება წინა დროებში მკითხავებს და ამით რა დიდ შემწეობას და დახმარებას უჩენდა ხალხს. ამისთანა მოღვაწეობისათვის ჩვენი უწინდელი სამღვდელოება დიდი მადლობის ღირსი იყო. ამისათვის სანატრელია, რომ ჩვენი თანამედროვე სამღვდელოება მიბაძავდეს ძველ სამღვდელოებას და ერთგულად მოჰკიდებდეს ამ კეთილ საქმეს ხელს. ამით ჩვენი სამღვდელოება დაიფარავს ჩვენ უსწავლელ ხალხს მატყუარა მკითხავებისაგან, რომელნიც ატყუებენ უმეცარ ხალხს და უმოწყალოდ ჰყვლეფავენ მას.

თბილელი.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს მცირე შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს გაზეთ «მწყემს»-ში.

«მწყემსი»-ს მე-11 №-ში მე წავიკითხე მცირე შენიშვნა შესახებ სოფელ მიხაილოვისა (НИЗОВАЯ ПРИСТАНЬ). ეტყობა, რომ უ. კორრესპონდენტს საფუძვლიანად არა სცოდნია ზემოხსენებული სოფლის საქმე და თავგარდასავალი. უ. კორრესპონდენტი სწერს: „ამ ოცდა-ორი წლის წინეთ გადმოსულან და დასახლებულან აქაო. ამ მართლ-მადიდებელ გლეხებს 1885 წლამდე არც ეკკლესია ჰქონიათ და არც საკუთარი მღვდელი ჰყოლიათ, რის გამო ზოგიერთს მათგანს სარწმუნოება შერყევიათ; ამიტომ დიდი ჯაფა და შრომა დასჭირდებოდა იმ მოძღვარს, რომელსაც ამ გლეხებს დაუნიშნავდნენ მღვდლათა, აქ დანიშნულ იქმნა ერთი ახალ-გაზდა მღვდელი იოანნე დავიდოვი." თქვენ ბ. კორრესპონდენტო ასე ამბობთ და მე დაწვრილებით მოგითხრობთ ამ საქმეს: მოხსენებულ 1884 წელს ზემო სოფლის გლეხები მოიქცნენ ექსარხოსთან თხოვნით, რომ იმათთვის მიეცათ საკუთარი მღვდელი; ამ თხოვნის გამო 1875 წელს, 4 მაისს მე ვიქმენ ხელ-დასხმულ იმ სოფლის მღვდლად. კურთხევის შემდეგ გავსწიე ჩემს სამრევლოში; ჭეშმარიტად, სამრევლოში ბევრი პირნი ვნახე სარწმუნოებაზე შერყეული; აგრეთვე ამ ხალხში მეტად გავრცელებული იყო მთვრალობა, რის გამო ხალხი ყოველ დღე დუქანში ატარებდა დროს. ამ საგანზე, თვით ქ. ბაქოს გუბერნატორმა უ. სტაროსელსკიმ და მაზრის უფროსმა პირველ ნახვაზე მთხოვეს, რომ ყურადღება მიმექცია ამ ხალხისათვის და მომეშლევინებია მათთვის მთვრალობა, რომელიც უმთავრესი მიზეზი იყო მათი სიღარიბისა.

რასაკვირველია, მე პირველად ყურადღება მივაქციე ეკკლესიას და მის მოწყობილებას. ეკკლესია ძალიან ღარიბათ იყო. მე მაშინათვე მივიქეც თხოვნით ბუსარის პოლკის მღვდლის სკიცკის და პოლკის კომანდირისადმი, რათა მათ ეჩუქებინათ ჩემთვის ეკკლესიის ზოგიერთი ნივთები. ამ პირებმა ჩემი თხოვნა შეასრულეს და მომცეს საეკკლესიო წიგნები, ხატები, სამი ხელი შესამოსი, სახარება, ვეცხლის ჯვარი და ვეცხლის საცეცხლური და ბევრი სხვა საჭირო ნივთები. ამ გვარად მოვრთე მშვენიერად პატარა სამლოცველო. შემდეგ ყურადღება მივაქციე ხალხის ცუდ ჩვეულებათა მოსპობას.

რასაკვირველია, პირველად ამ ცუდ ჩვეულებათა მოსპობა დიდად საძნიმო იყო ჩემთვის, მაგრამ ღვთის შემწეობით და ჩემის მეცადინეობით ხალხს შევაგნებიე, თუ რა ვნება წარმოსდგება სიმთვრალისაგან. ხალხი ჩემ სწავლა მოძღვრებას ყურადღებით ისმენდა და შესამჩნევად მიატოვა სიმთვრალე და მოჰკიდა ხელი საქმეს და მიწის მუშაობას. ორი წლის განმავლობაში ჩემდამო რწმუნებულ სამრევლოში შესამჩნევი ცვლილება მოვახდინე. ხალხი ერთგულად დაია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო ჩემთვის პირველი ჯილდო და სიხარული, რადგანაც სამწყსომ აღასრულა ჩემი თხოვნა და მიიღო ჩემი დარიგება. ამ შემთხვევით ვისარგებლე მე და სამწყსოს ვთხოვე 100 მან., 100 მანათიც მე მქონდა სანთლის ფული; ამ ოცი თუმნით გამოვიწერე ბლაღოჩინის თანახმობით ორი ხელი მღვდლის შესამოსი, ერთი ხელი სადღესასწაულო და მეორე— სამგლოვიარო, რომელნიც ეხლაც უნდა იყოს იმ ახალს ეკლესიაში.

ამის შემდეგ მე და ჩემი სამწყსო მშვიდობიანად ვსცხოვრებდით მესამე წლამდის, შემდეგ ჩვენდა საუბედუროდ ასტყდა ჩხუბი ოსმალოსა და რუსებს შუა; ამ შემთხვევამ გამოიწვია მთელი დაღესტანის ლეკების აღშფოთება და 1877 წელს, ოქტომბრის 4-ს დაგვეცენ ლეკები და მეზობელი თათრები თავს. მე ჩემის სახლობით და სამწყსოთი ღვთის შემწეობით თავი დავიხსენით და გავიქეცით ქ. ყუბანში, რომელიც 25 ვერსის მოშორებით არის ამ სოფელზე. ჩემმა პრიჩეტნიკმა, სოფრონ სამადოვმა ის ორი წყვილი ახალი შესამოსი გამოიტანა სამლოცველოდამ და ზურგით მოარბენინა ყუბაში; ლეკებმა და თათრებმა ეკლესია ყველა თავის ნივთებით და მთელი სოფელი აიკლეს და დასწვეს; ისე გადაფუტკრეს აქაურობა, რომ კაცი ვერ იფიქრებდა, თუ აქ როდისმე სოფელი იყო. სამი წლის განმავლობაში რაც შავიძინე და ან თბილისიდამ რაც ნივთები მქონდა მოტანილი, სულ წმინდად წაიღეს, მხოლოდ ერთ კაბაში და ანაფორაში შევრჩი. ჩემი სამწყსოდამ ოთხი კაცი და ორი ქალი მოჰკლეს და დანარჩენნი ყუბაში იყვნენ. საცოდავათ სულზე მათ დღეში ეძლეოდათ ხელმწიფისაგან საზრდოთ ორი შაური, მაგრამ მე ჩემის სახლობით და დიჩოქით სრულებით უსაზრდოთ და უჯამაგიროთ მთელი ერთი წელიწადი დავრჩით. ეი როგორი იყო ამ სოფლის თავ-გადასავალი. აქედამ კარგადა სჩანს, თუ რომელ მღვდელს დასგომია ამ სამრეველოში დიდი ჯაფა და მწუხარება. უ. კორრესპონდენტი კი ბრძანებს, რომ 1885 წლამდე მღვდელი არა ჰყოლია ამ ხალხს. ეხლა მკითხველი გაიგებს ამ სოფელში იყო მღვდელი, თუ არა? აქვე დავსძენ, რომ ბ. დავიდო

ზღვის აღმოსავლეთის მხრიდამ და მიდის ქ. მერვამდის ხუთას ოცდა-ხუთ ვერსტზე.

***

ბამოჩენილის პასტერის მოგონილი საშუალებით, აცრით, რუსეთშიც დაიწყეს ცოფიანების აქიმობა.

***

მთელს რუსეთის იმპერიაში ეხლა დიდი ყურადღება არის მიქცეული საეკლესიო გალობაზე. ერობა მიუცილებლად თხოულობს, რომ სახალხო სკოლების მასწავლებელთა იცოდენ საეკლესიო გალობა და ასწავლიდნენ სკოლებში მოსწავლეთა და ეკლესიაშიც აგალობებდენ ყმაწვილებს. ჩვენში კი, სამწუხაროდ, ამ საგანს სრულებით ყურადღებას არ აქცევენ და ზოგიერთი სოფლის სკოლების მასწავლებელნი კლიროსზე დადგომას კიდეც თართიშობენ.

***

დიდი ხანია, რაც უწმიდესი სინოდისაგან არის დანიშნული კომმისია ეკლესიების შესავალ-გასავლის საქმის წესიერად წაყვანისათვის. ეხლა ხმებია, რომ კომისიის ნამეტანი წევრები დათანხმებულან იმაზე, რომ თვითეულ ეკლესიის სამრევლოში დაარსდეს რჩევა, რომელიც შესდგება მღვდლისა და ყველა წოდების თითო აღრჩეულ პირთაგან. ამომრჩევთ უნდა მისცეს ანგარიში სტაროსტამ.

***

უწმიდესმა სინოდმა ვალად დაუდგინა ეპარქიის მღვდელთ-მთავრებს, რომ კერძო საჩივრები, რომელიც მირთმეული იქნებიან სინოდის სახელზე კონსისტორიების და სასულიერო სამმართველოების განჩინებაზე და დადგენილობაზე, მიღებულ იქმნენ მღვდელთ-მთავართაგან და მათის პასუხით წარდგინებოდენ სინოდში.

***

უწმიდესმა სინოდმა რუსული ენის გაკვეთილების მიცემის შესახებ დაადგინა, რომ ათი გაკვეთილი რუსული ენის უნდა მისცეს სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში ერთმა მასწავლებელმა და ცხრა გაკვეთილი დანარჩენ სამ კლასში მეორე მასწავლებელთა. ძლიერ კარგი იქმნება, რომ თითოეულ მასწავლებელს შტატით დაწესებულ გაკვეთილებზე მეტი არ ეძლეოდეთ. ამბობენ, რომ სამღვდელოებას მეტი ხარჯი არ მიუდის, როდესაც ერთი მასწავლებელი აძლევს 18 და 20 გაკვეთილსაო. ჩვენის აზრით ბევრად სჯობს სამღვდელოებას მრავალ ხარჯთან ცოტა ხარჯიც მოემატოს და შვილებს კარგა ჰქონდეს რუსული ენა შესწავლილი, რომელიც ასე კოჭლობს ჩვენ სასწავლებლებში საზოგადოდ. გვეგონა, რომ რუსთ მასწავლებლების ხელში წინ წაიწევდა რუსული ენის ცოდნა, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი არაფერი შესამჩნევი ნაყოფი სჩანს, როგორც ეს გვესმის სემინარიის მასწავლებელთაგან.

***

ზუგდიდის მაზრის სოფლის ბორახის სამრევლო სკოლის მასწავლებლის ბ. ქვირკველიასაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი.

„უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ მცირე შენიშვნას თქვენს პატივ ცემულ გაზეთ „მწყემს“. ში. აქ ჩემდამო რწმუნებულს სკოლის სასარგებლოდ ამავე სკოლის საპატიო მზრუნველის თ. ნესტორ ჩიჩუას თაოსნობითა, გაიმართა წარმოდგენა 29 ივნისს ამა მდგომარე წლისას. თუმცალა ბევრმა მიიღეს მხურვალე გულით მონაწილეობა ამ კეთილ საქმეში, მაგრამ აქაც აღმოჩნდნენ ისეთივე მამულის და სამშობლოს შვილები, რომ წინააღმდეგ ამისა ავრცელებდენ სხვა-და-სხვა უსაფუძვლო ხმებს ხალხში და მით სურდათ ხელი შეეშალათ მზრუნველისათვის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ წარმოდგენისაგან ხარჯების გარდა მე მაინც გარდმომეცა თექვსმეტი მანეთი სასარგებლოდ სკოლისა. დიდს მადლობას უცხადებთ ყველა იმ პატივ-ცემულ პირთა რომელთაც მიიღეს ამ კეთილ საქმეში მონაწილეობა და თანა უგრძვნეს ახალ მოზარდ ყმაწვილების წარმატების. საქმეს.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სწავლა და გეთილ-ზნეობაზედ.

სიტყვა

ვირჯვრის წერისათვის. *)

სახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმიდისათა.

(რუსულიდგან ნათარგმნი).

ყოველი კეთილი და სასარგებლო საქმე დაიწყება ღვთის კურთხეითა. ამისათვის ჩვენც, მწყემსნი ეკლესიისანი, გამოვალთ რა ქადაგებად, უწინარეს ყოვლისა გამოვითხოვთ შემწეობასა წმიდისა სამე-

*) შენიშვნა. წინადაუდგ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებას, რომ ეს სიტყვა ყოველ ეკლესიებში წააკითხვინონ განიცადენის მაგიერად ორჯელ, ან სამჯელ ყოველ წლობით, როდესაც მრავალი მლოცველები შეიკრიბებიან; წაიკითხოს ვინმე კითხვის კარგად მცოდნემ, ხმა მაღლად, განრკვევით, აზრიანად..

ეპისკოპოსი გაბრიელ.

ბისასა, ანუ სამებით დიდებულისა ერთისა ღმრთისა, და ამასთანავე გარეშემოვზღუდავთ თავთა თვისთა ძალითა პატიოსანისა და ცხოველ-მყოფელისა ჯვარისათა, წარმოვთქვამთ რა სიტყვათა პირველ დასაწყისისა ლოცვისა ესრედ: სახელითა (ესე იგი პატივად და დიდებად) მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

რისთვის გამოვისახავთ პირზე ჯვარს ყოველთვის საზოგადოდ, ანუ კერძო ლოცვაში, საიდუმლოთა აღსრულების დროს და სხვათა ყოველთა სამღვდელო მოქმედებათა შინა? შექველია მისთვის, რათა მოვიზიდოთ შემწეობა, მადლი და წყალობა ყოვლად უწმიდესისა სამებისა, იესოს მაცხოვრის ჯვარცმისა ძალით. ჩვენ არ გვაქვს იმედი საკუთარ ჩვენ ლოცვასა ზედა, ამისათვის დავსდებთ ღვთისა და ჩვენ შორის ჯვარსა, ანუ ჯვარის სახესა, ვითარცა კეთილსა საშვალობასა, ანუ კავშირსა, დარწმუნებულნი, რომ უფალი მოგვივლინებს მადლსა მისსა, ჯვრის ძალით, იმა უძლეველის და მიუწთომელის ღვთაებრივის ჯვარის სახის ძალით. მაგრამ ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ დასახება პირზე პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა მხოლოდ მაშინ მოიზიდავს მადლსა ყოვლად წმიდა სამებისასა, როდესაც იგი აღსრულდება კრძალვით და სისწორით, წესდებულებისამებრ წმ. ეკკლესიისა, გარდამოცემულისა წმ. მოციქულთა და წმ. მამათაგან.

აბა როგორ ჯერ არს გამოხატვად ჯვარისა სახე ლოცვათა შინა ჩვენისა ღვთისა მიმართ, ისე რომ მართლა ეს სახე მიიზიდვიდეს ჩვენდა შემწეობასა, წყალობასა და მადლსა წმიდისა და მთელის სამებისა? ახსნა ამ კითხვისა მიუცილებელი და კეთილსასარგებლოა: პირველად ყრმათათვის, რომელნი მონდობილ არიან ჩვენდა აღზრდად მართლ-მადიდებელი ეკკლესიის მიმართულებასა შინა; მეორედ ყოველი მართლ-მადიდებელი ქრისტიანისათვის, რომელსა სურს ყოველნი წესნი და მსახურებანი მართლ-მადიდებელთ ეკკლესიისა დაიცვას სათანადო სისწორით, გარეშე ყოვლისა დაუდევნელობისა, აღსასრულებლად სიტყვით წინასწარმეტყველის იერემიასა: წყეულ იყავნ ყოველი მოქმედი საქმისა უფლისა უდებებით. (48, 10).

ვიწყოთ ყრმათაგან.

იმ ხნიდგან, როდესაც ყრმანი შეძლებენ განრჩევას მარჯვენა და მარცხენა ხელისა, სისწორით გამოხატვა მათგან ჯვარის სახისა, ჩვენ მართლ-მადიდებელთა აზრით შეადგენს უმთავრესსა ზრუნვასა მათთა მშობელთა, აღმზრდელთა და მოძღვართა, თუ ისინი კი მართლ-მადიდებელნი არიან. სახარების და მართლ-მადიდებელი ეკკლესიის სწავლით, ყოველი კეთილი საქმე და ყოველი დრო, როგორც ზემოთ ვსთქვით, უნდა იწყებოდეს ერთგული ლოცვით, გარეშე რომლისა წარმატება არასფერში არაოდეს არავისთვის არ შეიძლება. ხოლო ვინაიდგან, სწავლისამებრ და გარდმოცემისა და მაგალითის ძლევისა, სამოციქულო ეკკლესიისა, ხმარება პირ-ჯვარის წერისა განუყოფელია ლოცვისაგან, ამისათვის ახსნა იმის მნიშვნელობისა, და სისწორით ხმარებისა, არის დიდი საგანი გარეგანისა ღვთის მსახურებისა. მაგრამ მახლობელი კავშირისა გამო შორის სულისა და ხორცისა, იგი მიუცილებელია შინაგანისა ღვთის პატივისცემისათვისაც; ამაზე მეტს ვიტყვი: მარტო გარეგნითა ჯვარის გამოსახვითა შეეტყობა ქრისტიანეს, როგორია მისი შინაგანი ღვთის მსახურება, და საზოგადოდ შინაგანი სულიერი მიმართულება. ვინაიდგან სიტყვისამებრ მაცხოვრისა ყოველი ხე იცნობების ნაყოფისაგან (მათ. 7, 17), ხოლო კაცი საქმეთაგან მისთა. ეს აზრი თითქმის ყოველთვის მართალია. საზოგადოდ შეიძლება კანონად მივიღოთ, რომ იგი მართლ-მადიდებელი, რომელიც არ გამოისახავს ჯვარს ჯეროვნად, ეკკლესიის კანონისამებრ, ან დაფანტულია, ანუ უდები, ანუ უმეცარი სჯულისა, ანუ კიდევ განდგომილი.

ნუ ფიქრობთ, რომ ჩვენ ამით ნამეტანი ვსთქვათ! შეამოწმეთ ეს სიტყვა საქმით, ბეჯითი შემეცნებით და თქვენც დარწმუნდებით. ამ სიტყვაში ნათლად და ადვილად პირმოუთნელი გამოკვლევა ამ ჭეშმარიტებისა დაგვარწმუნებს, რომ მართლ-მადიდებელი სარწმუნოებაში არასფერი არ არის მცირე და არა ღირსი შენიშვნისა, რომ მცირედი რაიმე განდრეკილება მისგან — მოიყვანს სხვათა უმძიმესთა უდებებათა და შეცთომათა. პირველივე შეხედულებისაგან მიღებული აღბეჭდულებას თვით სოფლიურ საქმეშიც აქვს დიდი მნიშვნელობა. ხან-დის-ხან ერთი პირველი შეხედვით, ერთი მოძრაობისაგან ჩვენ შევიტყობთ უწინდელს და მომავალს ცხოვრებას კაცისას, მისის მიმართულებით და მოქმედებითურთ და ძვირად შევცთებით ამაში. სულსა შინა ყოვლისა კაცისასა არსებობს რომელიმე გაუგებარი ძალა, რომელიც ვითარცა დანაკთი უპირველესთა ნიჭთა, ხშირად გვემსახურება ნაცვლად მრავალთა გამოცდილებათა და გამოკვლევათა ასე, რომ პირველივე შეხედულობით სწორედ

ვიცნობთ თვისებასა კაცისასა. მსგავსად ამისა პირველი კაცი ადამი ერთი წამის შეხედვითა შეატყობდა და გაარჩევდა თვისებათა, მიდრეკილებათა პირუტყვთა და სახელს უწოდებდა მათ. ამასვე გვასწავლის მეცნიერება ფილოსოფიისა ანუ ფსიხოლოგია.

არაფერი არ გვაბრკოლებს ამ სახითვე ვიფიქროთ პირველივე შეხედვითა პირ ჯვრის წერასა ქრისტიანე კაცისასა, მისი გარეგანი და მერმე შინაგანი ღვთის მაახურებასა ზედა. დასაწყის ყოველ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს და პიჯვრის წერიდგან დაიწყება გამოჩინება სარწმუნოებისა. დაფიქრდით ამაზე მართლ-მადიდებელნო! ესთქვათ ეს წვრილი და მცირე საქმეა, გარნა იცოდეთ, ყოველიფერი საქმე დაიწყება მცირედიდგან, და მერმე ცოტ-ცოტად გადიდდება.— ჩვენც ყველანი პატარანი ვიყავით, მინემ დიდნი გავიზარდენით. თვით უმაღლესი ხე მცირე თესლისაგან იზრდება. მაშასადამე დიდ-დიდნი ცოდვანიც როგორც დიდნი—სათნოებანიცა გაერცელდებიან მცირე დასაწყისიდგან. ასე იფიქრეთ პიჯვარის წერაზედაც!

მინც არ იცის მნიშვნელობა პიჯვრის წერისა და ვერც კანონიერად ასრულებს პიჯვრის წერას, მათ ჩვენ აუხსნით ხელმძღვანელობითა წმ. ეკლესიისათა, და აუხსნით საკუთრად ყრმათათვის, თუმცა, ვგონებთ, არცა დიდროვანებთათვის იქნება უსარგებლო. ბანა ამათ უკანასკნელთა შორის, არ არიან რეგვენნი, სარწმუნოებითა, ესე იგი სრულიად უმეცარნი სარწმუნოებისა? ზოგიერთი სოფლიურად ძლიერ სწავლულია, თითქმის ვარსკლავებს მიწვთება სწავლით, მაგრამ აბა ჰკითხეთ მას პირველნი დასასყისნი ქრისტიანული სჯულისა, რომელიც კარგათ იციან ზოგიერთ მცირე წლოვანთ ბავშთა, კარგ ოჯახში გაზდილთა! პირ-და-პირ ვამტკიცებთ, რომ მეტადრე აქ, ჩვენ ქვეყანაში, უმრავლესი სოფლის მცხოვრებთაგანი ისე დაბადებიან, რომ არც კი იციან სისწორით პიჯვრის გამოსახვა, ზოგი აქეთ-იქით აქნევს ხელს, უაზროთ, უსახოთ, ზოგი ნახევარ ჯვარსაც არ გააკეთებს, ზოგი მესამედს. პიჯვრის გამოსახვა საიდგან ეცოდინებათ, რომ მშობელთა იმათთა არ იცოდენ და არ ასწავლეს მათ. კარგის და სასარგებლოს რაიმეს სწავლა არაოდეს არ იქნებიან გვიან. ჩვენი მოვალეობა არის ავხსნათ პიჯვრის წერის მნიშვნელობა, რომელს ასხენ ყურნი სმენად ისმინონ!

საეკლესიო წიგნებში—ჟამნში და აგრეთვე ძველ დავითნებში, თავიდგან არის ნაჩვენები წმიდათა მოციქულთა და მამათა გადმოცემა, თუ როგორ ჯერ არს ყოველის მართლ-მადიდებელისა კაცისა ჯვრის გამოხატვად გულზე.

პიჯვრის დაწერისათვის სამი პირველნი თითნი მარჯვენისა ხელისა უნდა შეაერთო, სწორად მოსასწავებელათ წმ. განუყოფელისა, ერთარსისა და შეუერევნელისა სამების თანასწორობისა, ისე უნდა შეაერთო თითნი, რომ თანასწორნი იყვნენ ერთი მეორესთან. ამ სახით რომ შეეაერთებთ თითებთა, ამით ჩვენ ცხადათ გამოვსთქვამთ წმ. სამების სარწმუნოებას, რომლისა სახელით კიდეც მოვინათლენით თანახმად მართლ-მადიდებელი ეკლესიის სწავლისა. ოერი გრძელი თითები, რომელნიც არიან მოღუნულნი დიდ თითზე, ანუ ცერზე, შენიშვნენ სამების მეორე პირსა ღვთისასა მის ქვეყანაზე მოსლვას, დამდაბლებას, განხორციელებას. ამ სახით შეერთებული თითებით გამოისახება ჯვარი, როდესაც დავიდებთ შუბლზე, მარჯვენა და მარცხენა მხრებზე და გულზე, აუჩქარებლად, მოწიწებით, დაფიქრებით.

აი ამას ნიშნავს და ასე უნდა პიჯვრის გამოხატვა! მაგრამ რას ვხედავთ ახლა ჩვენ ქრისტიანეთა შორის? სამწუხაროდ, ვხედავთ, რომ ერთის მხრით ესრეთ წოდებულნი განათლებულნი პირნი თითქმის უკადრისობენ ჯეროვნად პიჯვრის წერას, თუმცა მათ იციან და შეუძლიათ სისწორით დაიწეროონ პირ-ჯვარი, მაგრამ დაუდევნელობით, შეურაცხობით, ცრუ დამღუპველი სირცხვილით არ იწერენ პირჯვარს კეთილად, არამედ თითქო ათამაშებენ თითებს და არა პირჯვარს იწერენ: მეორეს მხრით უსწავლელნიცა, დაბალნი ერისთაგანნი ზოგი უმეცრებით, ზოგი დაუდევნელობით არ იწერენ ჯეროვნად პიჯვარს, არამედ ისინიცა თითქოს ათამაშებენ თითებს, ასე რომ ახლ ჯვრისა არ გამოდის სრულიად მათი ხელის მოძრაობაში, არამედ, როგორც ზემოთ ვსთქვით, რაღაცა ხელის ქნევა იქით-აქეთ, ურიგო, უწესო ყინაალმდეგი სჯულისა, ჩვეულებისა ეკლესიისა, ჭკუისა. მარტო უმეცრებას არ უნდა მივაწეროთ ამისთანა სამწუხარო მოვლენა. ვგონებ მრავალი არ მოიპოვება იმისთანა პირი, თუმცა კი მოიპოვება რაოდენიმე, რომელსაც არ შეეძლოს კანონიერად თითების გაკეთება და კარგათ ჯვარის დასახვა გულზე და პირზე; მაგრამ ეს არის დაუდევნელობა ჩვენი უბრუნველობა, სატირალი სისუსტე, გულ-გრილობა საღმრთო საქმეში, ღმერთის პატივისცემაში. სხვა რაღა უნდა ვსთქვათ, ერის კაცსა როგორ უნდა ვაყვედროთ, რომ თვით მღვდელთა შორის და ბე-

რთაცა ურევიან ისეთნი, რომ უჯეროდ და უდებებით იწერენ პირჯვარს, სრულ და კარგ ჯვარს არ გამოსახვენ გულზე. მაგრამ მსაჯული მათი ღმერთია და არა ჩვენ ცოდეილნი! არცა დავიწყებისაგან ანუ დაფანტულობისაგან გონებისა აიხსნება ეს მოვლენა—ცუდათ პიჯვრის წერა. დავიწყება, დაფანტვა გონებისა ერთ წამს მოუვა კაცს, მაგრამ როგორ შეიძლება მთელის წირვის განმავალობასა შინა დაფანტული იყოს კაცი. ვერ წარმოვიდგენთ, როგორ მოხთება ესა, რომ სახლსა შინა ღვთისასა შესული ლოცვად ჯვარცმულისა მიმართ და მთელი წირვის განმაველობასა შინა არ გაიხსოვნოს რა სახე აქვს ჯვარს, და რისთვის უნდა გამოისახოს ჯვარი, რომელიც არის ბაირაღი სარწმუნოებისა, საჭურველი ცხოვნებისა? არა! ერთი მხოლოდ ჩვენი უბედური დაუდევნელობა, გულგრილობა თვით საყდარში მდგომარეობასა შინა არის მიზეზი იმის, რომ ჩვენ ასე ვაფუჭებთ პიჯვრის წერასა!

ზოგიერთნი დაუდევრად იწერენ პირჯვარს მისთვის, რომ მათ პირჯვრის წერა მცირე რამედ მიაჩნიათ; ისინი ფიქრობენ, რომ დიდი არაფერია ჯვარის გამოსახვა პირზე; იგი გარეგანი მცირე ჩვეულება არისო! ამაზედ ზემოთაც ვსთქვით ჩვენ, და ახლაც გავიმეორებთ. ცუდი და საშიშოა ამისთანა ჭაზრი და ფიქრი. ცბიერობით ამბობენ ისინი ამას. შთუოთ გული გაუცივდა, სასოება დაუმცირდა, ან სრულიად მოაკლდა, იმისთვის ფიქრობენ ასე. ძარგად დაფიქრდენ, რომ უარეს ცოდვაში არ ჩავარდენ.

ბოლოს გლოცავ თქვენ ყოველთა, ვისაც კი სარწმუნოება გაქვსთ, ვინც ღვთის ერთგულნი ხართ, ვისაც წმ. მართლ-მადიდებელი ეკლესია, თქვენ სულიერ დედად მიგაჩნიათ, სისწორით, გულის ხმიერად, ეთრგულად გამოისახვიდეთ პირჯვარს გულ-პირზე—ამინ.

რედაქციის პასუხი.

ბ. შ—ს. თქვენ იწერებით, რომ ერთმა სწავლულმა მღვდელმა თავის სახლში აკურთხა გვირგვინი-ო. ეს არ გვჯერა. თუ მართალია, დაგვისახელეთ ის მღვდელიც და თქვენ საიდამ და ვინ ბრძანდებით, ისიც შეგვატყობინეთ.

ახალციხეს. კ. მ—ს. ფრანგების მღვდლებს თავისი უმფროსები ჰყავსთ და იმათ მიაქციონ ყურადღება თავიანთ მღვდლებს. თქვენგან მოუვანილი ასოების ხმარების შესახებ ბევრი დაწერილა და ამიტომ არ იბეჭდება თქვენი შენიშვნა.

ს. კლდეეთს. მ. ა. ა—ს. თქვენი წერილი ჩვენდა დამოუკიდებელის მიზეზისა გამო არ იბეჭდება.

ქუთ—ს. დეკ. რ. გ—ს. პირველი თქვენი საუბარი არ დაიბეჭდება. მიზეზს წერილით შეიტყობთ. მეორე საუბარი კი დაიბეჭდება მომავალ ნომერში.

იოსებ შენგლაძეს. თქვენი წერილი შესახებ მღ. კ ჯ—შვილის მოქმედებისა არ იბეჭდება. ვერ გიცნობთ და ამისთვის თქვენ წერილს ვერ ვერწმუნებით.

ერმ. კ — ს, თქვენს ნათქვამს ფაკტებით ვერ ამტკიცებთ და ამიტომ არ იბეჭდება თქვენი წერილი ვიღაცა ბ—ის კ—ის შესახებ.

ს. სკანდას. მღ. სპ. ჯულ—ს. კითხვა მუნჯთა და ყრუთა ზიარებისა და აღსარების თქმის შესახებ განმარტებულია «მწყემსი»-ს მე №20-ში. სხვა თქვენი კითხვები სწორეთ ახირებული კითხვებია. იწერებით განმარტეთ ჩემი კითხვა: „წინეთ ხედავდა კაცი და ბოლოს დაბრმავდა; ამისთანა ბრმების ზიარება შეიძლება, თუ არა, ან როგორ განვაკანონოთ?» ამ კითხვის განმარტებას, ვგონებთ არავინ არ საჭიროებს. თქვენ, თუ არ იცით, მეზობელ მღვდელს ჰკითხეთ და ის აგიხსნის!.. იწერებით: «ჩემს მრევლში, ვსთქვათ, ყველანი ერთი მეორის მომდურავნი არიან და ხმას არ სცემენ ერთმანეთსა, როგორ უნდა მოვიქცე ამ შემთხვევაში?» იმისთანა მღვდელი, რომლის მრევლნი სულ ერთი ერთმანეთს გადამტერებულნი არიან, უნდა დათხოვნილი იქმნეს შტატ გარეთად, და მის მაგიერ უნდა დაინიშნოს რიგიანი მწყემსი, მცოდნე უბრალო კითხვებისა. უბრალის შესახებ გირჩევთ გულდასმით კონდაკი გარდიკითხოთ და პასუხს იქ წაიკითხავთ

შინაარსი: კლასიკური ენების გაძღიერების შესახებ სასულიერო სასწავლებლებში. — ყვირილიდამ მარტვილამდის. — სამარხი ადგილების გამო. — წერილი რედაქტორთან. — ახალი ამბები და შენიშვნები. — სიტყვა. — რედაქციის პასუხი.

რედაქტორი და გამომცემელი მღვ. დ. ლამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 29 Іюля, 1886 г.*

მსწრაფლ-მბეჭდავი მღვ. დ. ლამბაშიძისა ჯ ე. ი. ხელაძისა.